

ს ი ა ნ ბ

ქრონული
ბიბლიოთეკა



მ. ს. ჩაბუკიძის

— დედილო, ის ვაჟი ვერვალა?
 — არა, უფილო!
 — მაშ რად უნდა იმოდენა მაკრან ბილი?
 — მფრალა, რომანს ვაჟს დე თაჟისი ნაჟაროთობისთვის სხვა დე სხვა აღგიღები უნდა ბმოსგამს სხვების ნაჟაროთობებიდან.

J. Nader

უაუვი-პაპაბი

ბრუნველი
გაზეთი

შინ პურით ხელში მელის ჯალაბი
და სიმღერისთვის სულ არ მცალია,
მაგრამ... — „შეიბნენ შაშვი, კაკაბი“:
აბისინია და იტალია...

— შაშვო, შაი ხარ! — კაკაბი ცხარობს.
— არც შენ ხარ თეთრი, კაკაბო, ურცხვო!
ვიჯობს ახლობლე შენთვის მაკარონს,
ჩემი მთებისთვის შორი ხარ, უცხო!...

— როგორ თუ უცხო?! განა, შენს ახლოს
არ გაქიმულა ჩემი სომალი?
იქიდან თითქოს ვიღებდე ახოს,
ისე შემრჩები, როგორც ტყემალი!

— ყელს არ დაგადგეს, არ მოგპრას ხელად,
— ნუ დარდობ! მალლით დაერეგვავ ხელად.
შაქარს მოვაყრი, რომ გახდეს ტკბილი,
და გადავყლაპავ ისე მთელ-მთელად!...

— რომ გაგეხიროს კურკები ყელში,
ან ჩაგიკეტონ სუეცის არხი?
— მაშ ეს ბომბები რისთვის მაქვს ხელში,
თუ, ვინც მეურჩა, თავში არ ვახლი?!..

— ეი, თქვენ! — იქით ზღვის ლომის ქექამ
გამოარღვია ჰაერი ამ დროს:

„შეჩერდით, თორემ ორივეს შეგვამ,
თქვენ ორში თავი ვინ გამოყადროს?!..
— ამას ვინ ჰკითხავს? — კვირობს კაკაბი:

თავის ზღვერშივე ვერ დაეტია?
— ჩანს ჩემთან ომის უნდა საბაბი,
რომ მემუჭრება, მეტის მეტია!
ისევ დავკენკო ამ ყუმბარებით

და დავუცხრილო ხომალდი ყველა,
რომ სულ ვაყვირო: „გემუდარებით.
ოღონდ გამიშვით, მომეცი შეელა“...
კარგია ზოგჯერ სიზმარიც ტკბილი,

ვით ეს „კაკაბი“ გზებს ხედავს იოლს,
მხოლოდ ტყემალია არ მოსპრას კბილი,
ან ზღვაში ლომმა არ ჩაითრიოს.
იქ წყალიც ოდნავ რომ დარჩეს გრილი,


სიცხე აიკლებს მას საიქოს,
სხვას რომ უქადა ხომალდთა ცხრილი
ვაპ, თუ მუტელი თვით დაახიოს.

ონისიკა

საკონსტიტუციო უბანში

ნახ. მარიაშის

გერმანიაში სასურსათო კრიზის გამო განსაკუთრებულ „ზომებს“ მიმართავენ.



— რატომ მოიყვანეთ ეს პატარები?
— ანადგურებენ სახელმწიფოს! ახასი გრამი ვარაქი იყიდეს!

ავადყოფი მოქალაქე ვის ამბულატორიაში და უცქერის ტფ. ჯანმრთელობის განყოფილების ფერადიან პლაკატებს, რომლებიც ანტითამბაქურ კამპანიას ეწევიან. თამბაქოს მოწვევა დახასიათებულია ლოთობაზე უარესად. თამბაქოს ნიკოტინი საწამლავთ ნ არის გათანაბრებული. თამბაქოს ბოლიდან სიკვდილის ჩონჩხია გამოსახული.

მეორე კედელზე მოთავსებული პლაკატიც თამბაქოს მოწვევის წინააღმდეგ ეწევა კამპანიას. ეს პლაკატი ეკუთვნის სახანძრო რაზმს. პაპიროსის ნამწვანს ხანძარი ვაუჩენია და იწვის სახლი, იღუბება ქუჩება, ხალხი.

— ეს რა საშინელება ყოფილა! — გაიფიქრა მან და ინსტიტუტურად გადაავდო თითებში გაჩხირული პაპიროსი. — ალბათ ციებასაც ხელს უწყობს! — და მან ჯიბიდან პაპიროსით სავსე კოლოფი ამოიღო. — გადავავდო? — გაიფიქრა მან და გახსნა კოლოფი. საქე იყო, ორიოდე ცალი აკლდა, დაენანა გადავდობა და გვერდში მჯდომ მოქალაქეს შესთავაზა:

- პაპიროს არ ინებებთ?
- გმადლობთ, ახლახან მოგსწიე.
- მე მთლად გთავაზობთ ამ კოლოფს.
- გმადლობთ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მე არ ვეწევი თამბაქოს.
- მაშ რატომ თქვით, ახლახან მოგწიეო?
- დამეხატრა თქვენი, მაგრამ თქვენ რატომ მთავაზობთ მთელ კოლოფს?
- მე დღიდან თავს ვანებებ!
- რატომ?

— აი, წაიკითხეთ პლაკატები. რა უბედურება ყოფილა ეს თამბაქო.
— და ამ უბედურებას მე მთავაზობთ? როგორ გგონიათ — მე თქვენზე ნაკლებად მიყვარს თავი და თქვენზე ნაკლებად მესმის ეს ამბავი?

— როგორ გეკადრებათ... მაგრამ მე ისე... უკაცრავად! — გაფითლდა იგი და უსერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილია, აღარ იცოდა რა ექნა. კიდევ კარგი, რომ ექიმმა დაიძახა:

- შემდეგი! — და იგი შევიდა ექიმთან.
- პათევცემულო ექიმო, ბოდიშს კი ვხვდი, მაგრამ თუ პაპიროსს ეწევით, მიირთვით, მე დღიდან თავს ვანებებ პაპიროსის წევას! — უთხრა წამოსვლისას ექიმს.
- ძალიან კარგსაც იზაბთ. ძღვენის შემოთავაზებისთვის გმადლობთ, მაგრამ არ შემიძლია თქვენი ძღვენის მიღება, რადგან თამბაქოს არ ვეწევი!

გამოვიდა თუ არა ქუჩაში, ჯიბეშივე დაარსა პაპიროსი და იქვე ჩასაფურთხებულ ყუთში ჩაადგო.

— გათავდა. ვენაცვალე ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილებას, რომ ასეთი პლაკატები გამოუშვა თამბაქოს მოწვევის წინააღმდეგ. დღეში 3-4 მანეთის პაპიროსი მჭიროდა. ჯამაგირის ნახევარი ამაში მიდიოდა. აწი კი... რა ბედნიერი კაცი ვარ...

ოჯახშიაც ყველას გაუხარდება. მალარიჩუნდა ვადიხადო ცოლზე ილთან. ავერ ვაცივლი ბაზარში და სურსათს ვიყიდი. თამბაქოს ფულს საჭმელს მოვახმარ და მთელ ოჯახს უკეთესი კვება ექნება!

ამ გადაწყვეტილებით შევიდა იგი ბაზარში.

ბაზრის მოედანზე ფარდულში თვალი მოჰკრა პაპიროსებს.

— რატომ სხვა დაწესებულებებიც არ მიპაძევიან ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილებას და არ გამოიყენებენ ომს თამბაქოს? — გაიფიქრა მან და დაინტერესდა გაეგო — თუ რომელ დაწესებულებას ეკუთვნის?

პროტარტი საშუალება

ნახ. ს. ნადარეიშვილის



გერმანელი მოქალაქე: — სარტყელს უნდა მოვუჭირო, თორემ მუცელში არაფერი მაქვს და შარვალი ჩამძვრება.

ენოდა ეს ახლადგახსნილი საჭურჭელი სადღაც მხროლოდ და მხოლოდ თამბაქო იყიდებოდა და მას ვაკვირებდას საზღვარსა და როცა ფარდულის აბრაზე წაიკითხა: „ტფ. ჯანმრთელობის თამბაქოს სავაჭრო წერტილი“.

თვალეებს არ დაუჯერა და გამყიდველს ჰკითხა:

- ვისია ეს სავაჭრო?
- ზედდებ აწერია. კითხვა არ იცი თუ? ჩვენი მთავრობა ყველას აძლევს სწავლა-განათლებას. ყველაფერი სახელმწიფოს ხელშია. მოგსმენთ კერძო ვაჭრები და ჩარჩები! — ერთმანეთს ეცილებოდნენ პასუხს მიცემაში ფარდულის ნოქრები: ალ. ხომტარია და აკ. კიპურჭაძე.

— კი, მაგრამ თქვენ ხომ ძველი ჩარჩები ხართ, რომლებიც ნიკოლოზისა და მენშევიკების დროს ტყავს გვაძრობდით?

— ეს თქვენი საქმე არ არის! — შემოუტიეს მათ.

— კმ! — თქვა მან და დაფიქრებული წავიდა. — ველარაფერი გამიგია? ამბულატორიაში ერთს ამბობს, ბაზარში — მეორეს, რომელს დაუჯეროთ? მაინც ვერ გამიგია — რა ჯანმრთელობის განყოფილების საქმეა ვაჭრობა, და ისიც — თამბაქოს ვაჭრობა, და ისიც ყოფილი ჩარჩ-ვაჭრების საშუალებით. თითონ ჯანმრთელობის განყოფილება ვერ ყოფილა ჯანმრთელი და მას სჭირია მკურნალობა. „ექიმო, გერ თვით ვანიკურნე თავისი თავი“. — გაიფიქრა მან და ნოქარს უთხრა: — მოიტა ერთი კოლოფი პაპიროსი. ნოქარმა მწყურალად შეხედა, პაპიროსი გაუწოდა და დააყოლა:

— ორი მანეთი!

მყიდველმა ფული გადაიხადა. კოლოფს ახედ-დახედა, ზედ გამოხატული იყო ახალგაზრდა ქალი-ვაყი, რომლებიც ტყავადნენ. კოლოფზე მსხვილი ასოებით ეწერა: „ფოქსტროტი“.

როცა მოქალაქემ პაპიროსი მოსწია, თქვა:


— ალბათ იმიტომ გამოუშვა ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილებამ ასეთი მყურალი პაპიროსი, რომ ხალხს შეაძლოს თამბაქოს წევა.

მაგრამ დაენანა პაპიროსში გადახდილი ორი მანეთი და ამის გამო პაპიროსიც დაენანა: არ გადაავდო, როგორც ეს უყო ამბულატორიიდან გამოსვლისას თამბაქოს ტრესტის პირველხარისხოვან პაპიროსს „რეკორდს“, არც ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილება უხსენებია ცუდად. მხოლოდ ეს თქვა:

ვის რა საქმე ვალად ჰქონდეს, დასჯერდეს და მას იქმოდეს, „ტაბტრესტს“ ჰყიდდეს პაპიროსებს, ჯანგანი კი ჯანგანობდეს. სხვა საქმეში არ ეწროდეს და სნეულთა მკურნალობდეს.

ისეაღი

ზოგიერთი ორგანიზაციები მშენებლობის გეგმას და ხარჯთაღრიცხვას სამუშაოს დამთავრების შემდეგ აღგენენ დასამტკიცებლად.



ტრესტილან მოვიდენს! ხარჯთაღრიცხვას და გეგმას ითხოვენ!
ახლავე! საჭურავს დავათავებთ და დამთავრებისთანავე შევუდგებით შედგენას!



ამას წინაშე დილით აღბრუნდით, იუსტიციის, დავით, ანდროს, სადაც მიწვეული ერთხელ სოფლის ბოლოს გზაში შეხვდნენ. — გამარჯობა! — ვაგიმარჯობა! — სად მიდიხართ, ხალხო, ამ დროს? ცოტა შევსვენოთ, არ სჯობს? თან თუთუნი ვთხოვე ანდროს.

გზის ნაპირას, თხემლას ძირში ჩამოვჯექით გრვებზე ჩრდილში. ყველა ჩაბოხებით პირში, ვაგირთეთ ტყვილი მტყნაიფში. იუსტიციის, ანდრო, დავით, ყველა საკუთარი თავით, და გაძლიერებ კითხვებს ისეთს, ბოქი ხარ და პასუხს მისცემ! აქითური იქითური, ერთმანეთზე უფრო რთული განვიხილეთ საკითხები, ყველას აქ მე არა ვეხებო, მხოლოდ ერთი იმათგანი, საყურადღებო საგანი, საინჟინერო მე აქ მომყავს, თორემ მისი დარდი მომკლავს!

— „ვაკო, მოდი, საუბარი შენ იმაზე ვაგვიმართე: ერთა ლოგა თუ რა არის ადგილსენი, ვაგვიმარტე! ამბობენ, ამბოსინას თავდამოღებოთ ის იცავს, მუსოლინი მიტომ ზიანს ეიო აყენებს, წინ ვერა იწყებს! მაგრამ ჩვენ ამ ერთა ლოგას ვხედავ მხოლოდ ერთ ადგილას: ადგენს ურიცხვ კამისიებს, ვსები კი — გოძელ-გოძელ სიებს! გამოაცხადეს ემბარგო, რომ რამე საშხედრო შარგი, ავი იქნება, თუ ვარგი, არცინ შეიტანოსო, თუ არა სურს იზანოსო! მაგრამ ამ კეთილ სურვილებს მათ ყველა როდით უსრულდება! სომარა მანქანებით დაჯირითული, გაქანებით გემები იქ მიილტვიან. მეტა, ამას რაღა შქვიან?“

აი, ასეთი კითხვები იამისიუს მათ კიდევ სხობი, მაგრამ შევიშქოშნე მხარბი, თადგან შერ ვირაფერს ვხვდები! პასუხი რომ ვერა უთხრა, მიმ-ხვდინ ეს.—მეტად ვწყობვარ! მხარბს რა ასე ულონოდ, გამომეთხოვენ ბუზლუნოთ!

1.

ამბობენ რომ აცივდა
მთები ჩამოთოვა,
და ზამთარი წვერთეთრა
სადაც არის მოვა.

წინდახედლოს რა უჭირს
თუ აქვს შეშის მარაგი
ვისაც არ აქვს გახდება
ის სიცივის ზვარაკი.

დირექტორსაც არ ქონდა
ერთს, — მამობენ შეშაო
შინ მიართვა „ზავხოზმა“,
ჩუმად უფეშეშაო.

2.

ამბობენ, რომ რკინის გზას
აქვს მიმოსვლის ცხრილი
არ გადუხევეს იმ ცხრილს რომ
არ ქამოს სირცხვილი.

ახალ სტილით მუშაობს,
ახალი აქვს წესი,
ახალი აქვს და მტკიცე
მიმოსვლის განწყვი.

მაგრამ იგი განწყვი
არავისგან სრულობდა:
დილის მატარებელი
საღამოზე ბრუნდება,

3.

უნდა გესხას ფრთები და
უნდა იყო ჩიტო,
თუ ესაოროს უნივერსალში
შეიძინო ჩითი.

„რეზინტრესტი“ ზავხულზე
გორაობდა კალოზე
მოიარე ტფილისი
ვერსად შევხვდი კალოშებს.
მ.ზა.



ნახ. კრიაშის

— ეს ბავშვი მგონი საუღაც მინახავს... მგონი კიდეც ვიცნობ... ჰო, ახლა მომავინდა
— ეს არის ჩემი პირველი შვილი მეხუთე ცოლიდან!

ზე-ზე-ზე-ზე

ვინც არ უნდა იყოს, იგი ყველას მზიარულად და სიცილით შეხვდება, თითქოს ძალიან გაუხარდა მისი ნახვა. დანახვისთანავე, საღამოს მოცემამდე შესძახებს:

— ზე-ზე-ზე-ზე... გამარჯობა, გამარჯობა...
ზე-ზე-ზე-ზე... როგორ ხარ? სადა ხარ? რას იქმნ... ზე-ზე-ზე ცოლშვილი ხომ კარგად გყავს? ზე-ზე-ზე-ზე.

ერთხელი იგი ძველ ნაცნობს შეხვდა.
ჩვეულებებისამებრ ხელისჩამორთმევამდე დაიწყა:

— ზე-ზე-ზე-ზე... ამას ვისა ვხედავ? ზე-ზე-ზე-ზე... ჩემი ფედორე... გამარჯობა მგობარო... ზე-ზე-ზე-ზე... რამდენი ხანია არ მინახავხარ, ზე-ზე-ზე-ზე... ხომ კარგად ხარ? ზე-ზე-ზე-ზე.

— ეერ ვარ კარგად.

— ზე-ზე-ზე-ზე... — და იგი უცბად შეჩერდა. რატომ კაცო?

— ამას წინად ცოლი მომიკვდა.

— ზე-ზე-ზე... — და კიდეც შეჩერდა. ერთ წუთს მოწყენილი გამომეტყველება მიიღო. — რას ამბობ, კაცო? ეს როგორ შეიძლება! რითი?


— ანთებით.

— ზე-ზე... — ანთებით? ეჰ, ძალიან სამწუხაროა, მე და ჩემმა ღმერთმა, მაგრამ... ზე-ზე-ზე... რა გეწყობა. რა ჰქენი მერე, კაცო?

— რას ვიზამდი? დავმარხე.

— ყოჩაღ. მონაწილე ვარ შენი მწუხარებისა. ზე-ზე-ზე... ყოჩაღად იყავ... ზე-ზე-ზე-ზე... არა უშავს. მშვიდობით, ჩემო თედორე... ზე-ზე-ზე-ზე... მშვიდობით... ზე-ზე-ზე-ზე!.

ზმუჟი.



ფაშისტების ღეროს ახალი პროექტი.

ნარიყალს, „ეზნით მზირალს“, გაესცლით და აბანოებს გვერდით ჩაეუარეთ. წინ ახალგაზრდა კაცი მიგვიძლიდა.

— აქ გადაშლილ ბაღებს უხვად მორწყავს ნატახტარის წყალი, — ვთქვით ჩვენ. გაჟმა თავი აიღო და შემოგვიჩერდა:

— ნატახტარის წყალი... შადრევნები... ჩაიდუღუნა მან და ხელი ჩაიქნია.

— პო, რა გიკვირო?

— არაფერი, მაგრამ თქვენი აზრით, რამდენი ვედრო წყალი მოუნდება ამ ბაღებს?

— ახლა მაგის ანგარიში ძნელია: მაგრამ აღბად ორი-სამი მილიონი.

— შერე, იცით, რა ჯდება ეგ სიამოვნება? გადაამრავლეთ თითო ვედრო წყალი სამ შურზე და მიხვდებით! მაგას გერაფითარი ქალაქი ვერ გაუძლებს!

— ვინ ვითხრათ, რომ ვიდრო წყალი სამი შურია?

— თქმა რათ მინდა, მე ასე ვიხდი!

— შეუძლებელია.

— ნამდვილს მოგახსენებთ. თუ არ გჯერათ, ავერ ჩვენს სახლში შევიდეთ და ჩემი მეზობლებიც დაამოწმებენ. გული ხომ არ გაქვთ სუსტი? ცოტა საშიში ადგილია!


გული გავიმარეთ და შევედით აბანოს ქუჩის № 6 სახლში.

მასმინძლის ყვირილი შემოგვესმა. მივარდით. მას ღრმა ორმოში ვადასცდნოდით თხები და მხოლოდ ხელებით ებლაუჭებოდა ნაპირებს. ამოვიყვანეთ.

იცნობდით!

ნახ. მარიაშის

ქიათურის რ. სოფ. ქვაციხის საიქემო პუნქტის გამგე ექ. გრ. ბრევვადე ხუთ თუმან ნაკლებ ავადმყოფს არ ევარება („კომ“.)



საკუთლიანტ - ჩარჩების ამქარი და ტოლია, საბჭოთა ექიმებში უციფირო ნოლია.

— რამდენჯერ არ შემოვსულვარ, მაგრამ ეს არ დამმართია... კიდევ კარგი, რომ ხელები მოვატანე! — ამბობდა მასმინძელი.

გამოირკვა, რომ ეზოს შესავლელში აგურებია აყრილი, ქვეშ 50 მეტრის სიმაღლეს სარდაფია და ხაში კაცი პირდაპირ სარდაფში ვარდება.

— აქედან გადავარდნილი კაცი სააქოდ ვედრო ივარგებს, — შენიშნა მეზობელმა, რომელიც ხმაურობაზე გამოვარდა.

— კი მაგრამ, უნდა შეაკეთოთ!

— ისემც კაი დაგემართოს, მაგრამ ფული რომ იყოს, პირველად ამ ოხერ საპირფარეშოს შევაკეთებდით!

— საპირფარეშოს?

— დიახხ... შიგ შიშით ვიღარ შევიდით. (მეზობლისას დავდივართ!) კვლერთი მეორეს დაშორებულია და ოდნავ რომ გაინძირეს, საპირფარეშოცა და „კლიენტიც“ ხევში გადაცვივდებოდა... საპირფარეშო ხევშია გადამდგარი... მობრძანდით, სახლში შემობრძანდით.

შევედით, ოთახში თავი მოაყარეს სახლის მდგმურებმა: ამბ. ნაკაძემ, ლომიძემ, ლალანიძემ, თულარიამ, კვიციანიძემ და სხვებმა.

კაშკაშა ღამე იყო და მთვარის შუქი პირდაპირ უშუალოდ სახურავში ჩამოდიოდა.

— ეს სახურავი პაერის მოძრაობის მიზნით დახვრიტეთ?

სამეულმა მწარედ გაიღიმა.

— დავკვირით არა? სახურავი წარღვნის შემდეგ არ შეკეთებულა, დაიხვრიტებოდა, მაშ რა მოუვიდოდა?

— შერე და კიროვის რაიონის სახლთა ტრესტს არ მიმართეთ?

ისევ სამიულის მწარე ღიმილი.

— მიემართეთ კი არა, ლოგინი იქა გვაქვს გამართული. შერე რა? ერთი სიტყვით სახლთა ტრესტი ძველ ანგლოტს იმეორებს „ღარში ხომ წვიმა არ ჩამოდის, ადვარში კი შეკრება ვის გაუგიაო“, — ასე გვეუბნებოდა. ამასობაში სახლი დაღმა და ავეჯიც გაფუჭდა...

ბეჭრი ლაპარაკით ხახა გაგვიშრა.

წყალი მოგითხოვეთ.

— ბორჯომი გნებავთ, თუ ლომონდი?

— რათა სწუხდებით, უბრალო წყალი იყოს, ნატახტარი...

— არა, ჩვენთვის სულერთია, ფასი დაახლოებით ერთია!

მოგვიტანეს ბორჯომი.

— რა უცნაურად ლაპარაკობთ, იმ ბაღის მორწყვისა არ იყოს, წყალი სამი შური ჯდება? აუხსენით რაშია საქმე.

და დაიწყო სამიულობა:

— ეს სახლი ნომერი ექვსი აბანოს ქუჩაზე, წინაო სამილიციო უბანს ეკუთვნოდა; ხოლო 1930 წლიდან მილიციის მუშაკებს მისცეს. სამილიციო კომისარიატს დარჩა წყლის დავალიანება 700 მანეთი. ფულის გადაუხდებლობის გამო წყალსადენის სამმართველომ გადაჭრა წყალსადენის მილი. მდგმურები იძულებული გახდნენ მეოთხე ეზოდან ეზიდათ წყალი.

— მოქალაქენო, აქედან წყლის წაღება

არ შეიძლება, — გააფრთხილა „მეთაქვს“ სახლის სამეულმა № 6 სახლის სამეულმა.

შეიქნა დიპლომატიური მოლაპარაკება, რომელიც დამთავრდა შემდეგი შეთანხმებით: ყოველი წაღებული ვედრო წყალი ღირს 10-დან 15-მდე კაპიკი...

დიდხანს ვერ გაუძლო ასეთ ხარკს № 6 სახლის კოლექტივმა, შეაგროვა 300 მანეთი და გამოიყვანა წყალი, რომელიც... მალე დაკეტეს და დალუქეს ძველი დავალიანების გამო!

სულ დავალიანება ავიდა 1,400 მანეთამდე. ეს ფული უნდა გადაეხადა სამილიციო კომისარიატს, სახლის პირველ სართულზე მთავსებულ სასადილოს, საჩაივების, დუქნებსა და სხვა სავაჭროთა პატრონებს, რომელნიც კერძო სექტორებისა გამო, გაუქმებულ და დანადგურებულ იქნენ, როგორც კლასი!

— და მივლი ეს თანხა ჩვენ საწყლებს დავგაკისრეს... სადა გვაქვს ამდენი ფული, ჩვენ მუშა-მოსამსახურეები ვართ... მართალია მილიციის ვალი ჩამოგვაწერეს, მაგრამ დანარჩენი? ახლა ისევ სამ შურად ვყიდულობთ წყალს... წვრილშვილის პატრონი ვართ... — მოიწმინდა ცრემლები წვრილშვილის პატრონმა სამეულმა.

ღამე იწურებოდა, ცნობის მოყვარე მთვარე ცის ტატნობზე ავიდა და იქიდან იჭკიტებოდა აბანოს ქუჩის № 6 სახლის გადაღვლილ სახურავში.

აღლარ-აღლარსან.

ნახ. მარიაშის



მშვიდობით, ცოლო და შვილო... ცოცხალს ვედრო მნახავს!

ნახ. ღონის

ქართული
საბჭოთაო

წიგნის სასახლის ვრცელ დარბაზში მწე-
რალთა საზეიმო სხდომაზე მოხსენებით გა-
მოვიდა სახელგამის დირექტორი ამბ. ბა-
რანი.

— ამხანაგებო, თქვენ არც ისე გულმა-
ვიწყი ხართ, როგორც წაღებული ავანსის
განაღების დროს, არც ისეთი მოხუცებუ-
ლი ხართ, რომ მენსიერება გლატობდეს,
არც ისეთი შორეული ამბავია. ეს გუშინ
იყო მე, ე. ი. სახელგამს საშუალება არ
მქონდა, რომ თქვენთვის დროზე მომეცა
კუთვნილი ჰონორარი. ამ ნიადაგზე ბევრ
უსიამოვნებასა და გაუგებრობას ჰქონდა ად-
გილი. მაგრამ ეს იყო წარსულში.

ამიერიდან სულ სხვა მდგომარეობაა.

თქვენთან დაახლოების მიზნით ჩვენ
წიგნის სასახლე ავაგეთ თქვენს ახლოს.
თქვენ ცხოვრობთ მწერალთა სახლში ეო-
რესის ქ. № 4. ჩვენ კი თქვენს პირდაპირ
ვართ. გამოხვალთ თქვენი ეზოდან და პირ-
დაპირ ჩვენთან მოხვალთ კუთვნილი ჰონო-
რარის მისაღებად. ღებულობთ მაშინვე და
ერთი წუთის შემდეგ თქვენ ისევ თქვენს
სახლში ხართ. რა არის ამზე უკეთესი?
ღიას, არაფერი, სწორედ ამიტომ აშენდა
მწერალთა საცხოვერბელი სახლი და წიგნის
სასახლე ერთმანეთთან ასე ახლოს. გაუმარ-
ჯოს ჩვენს ამიერიდან დაახლოება-მეზობ-
ლობას. ძირს ყოველგვარი უსიამოვნება და
გაუგებრობა.



— გაუმარჯოს ჰონორარის აღრე მიღე-
ბას? — წამოიძხა გიორგიმ და დაუმატა,
გენაცვალე სულში. რომ არ გაყოცო, არ შე-
მიძლია! — და წამოგდა იგი.

— დაწეი, ნუ ღრიალებ, კიდევ ვერ გა-
მოფხიზლდი? როდის იყო, რომ ასე გამოიჯ-
ნურებული იყავი ჩემზე! — უსაყვედურა
მეუღლემ.

— უუუუჰ! ეს ჩემანლა სიზმარი ყოფი-
ლა. კი არ გამოიკვირდა ბარონისგან ეს ამ-
ბავი! კიდევ კარგი, რომ სიზმარი ყოფილა,
თორემ ცხადი რომ ყოფილიყო, სიხარული-
სგან ეგებ ჰკუპაც დამკარგოდა! — თქვა
გიორგიმ, ისევ დაწვა და დამშვიდებით გა-
ნავრძო ძილი.

ჰია.

კუთხეული განაჩენი


მოხდა სამწუხარო ამბავი: ყმაწვილმა
ყმაწვილი მოპკლა, ჩიტს მისდევდენ მოსაკ-
ლავად და... ეს სამწუხარო ამბავი მოხდა.

სამწუხაროა ისიც, რომ მშობლები შვი-
ლებს არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას.

ისინიც დასჯის ღირსნი არიან ასეთი შე-
თხვევების დროს.

ჰო, სამწუხაროა ეს გარემოება. მაგრამ
სამწუხაროა აგრეთვე ისიც, როცა რაიონის
სასამართლოს სასაცილო განაჩენი გამოაქვს.

ნახ. ღონის



— აღბათ აქ წინაუ ხადგურის დარბა-ზი ყოფილა და შემდეგ სხვაგან გადაუტა-

ნიათ.

ჩვენ გვაინტერესებს განაჩენის მხოლოდ
ეს ნაწილი, სადაც ლაპარაკია, რომ ბრალდებ-
ულს დაზარალებულის სასარგებლოდ უნდა
გადახდეს დასაფლავების ხარჯები:

კუბოსი,
წამლობის,
სამარხის.

ერთი სიტყვით ეს ხარჯები, რომელიც
გათვალისწინებულია საბჭოთა სასამართლოს
კანონებში, არც მეტი არც ნაკლები.

მაგრამ რას ვხედავთ? სასამართლო აღ-
გენს, რომ განაღებული იქნეს დაზარალებ-
ულის ანგარიშიც ალაპის შესახებ:

10 ფუთი ღვინო	600 მან.
5 ფუთი ბუთი	160 "
ერთი საკლავი	290 "
3 ფუთი ლობიო	96 "
1 ფუთი ბრინჯი	103 მან.
20 კილო ღომი	270 მან.
ხატის ნათელი	7 მან.
2 ფუთი ღომი	80 მან.
10 კილო მწვანელი	25 მან. 70 კაპ.
ხუცესს და დიაკვანს	120 მან.

იკითხავთ—სად მოხდა ეს ამბავი? ჩვენც
არ ვიცით—სად მოხდა. მაგრამ ამბობენ, რომ
ანალოგიურ ამბავს ჩაბატურში ჰქონდა
ადგილი.

ასეთ სამწუხარო ამბავზე ასეთი სასა-
ცილო განაჩენი სამწუხაროა:

— კი

ქართული
ბიზნეს-ტიპი



ბიზნესელი (ბიზნესი) — თუ შენ არ ხარ არიული და შენ ვერ ხედავ, უფლებაც არა გაქვთ გირმანული ნივთი ტყილი, ზოლი თუ თქვენ არილები ხართ, ზომიერი უნდა იყოთ გამაში, რომ ჩვენს ზღვრებამ ხელიც ხერხათს კიოსიხა და მერა მთიანეთს დაიბიჯოს.

ჩვენ არაღაც დაშავებული აქვს ხელოვნების ლიტერატურის მეცნიერების და სხ. საზოგ. მეცნიერების მემორანდუმი შარშენი. ვინაიდან ასეთების სისტემატორად გამოკვეთნებას.

ვიდიკო ანკაუზანიძე.



ბიზნესელი

იაშვილი იუმად „ქაშაშს“,
პროკურორი თვალმზს ნაბავს

დღემთის ქალაქის კოოპერა-
ტივის გამგეობის თავმჯდომე-
რემ მ. იაშვილმა ოცი ვედრა
ლინის ნაცვლად ბუღალტერიას
20 ქათამი გაატარებია და ფა-
სებში არსებული განსხვავება კი
თვითონ ჩაიჯობა („მუშა“).

თავმჯდომარე იაშვილს
უყვარს კომბინაცია,
მიტომ ლინო კახური
ვარაუდად აქცია.

სხვა ცოდვებიც ბევრი აქვს
მიზოს ნავარჯიშევი
კალთით დააქვს მიხაკის
ყალბი ანგარიშები.

ხმას არა სცემს არაგინ
ჟუნალდებენ, გაუღის, —
და ნაჭაფით კახური
ყელს რაკრავით ჩაუღის.

გაიღვიძე დღემთის
პროკურორო მძინარე
თორემ მიზოსთან ერთად
შენც გაგატანთ მდინარეს.

გაცრუებული იმედი

„საწყობი საიმედო ქაღალდის ხელ-
შეა“ — იკვებნიდა ლევანდოვის
სახელობის არტელის თავმჯდომარე
მიკიტუმოვი.

რევიზიამ გამოარკვია, რომ ზემოხ-
სენებულ საწყობის გამგეს ბაღილ
არუთინოვს გაუფლანგავს 4460 მან.
ამავე არტელის ბუღალტერს სუმბატ
გრიგორიანს კი ვაფლანგული ილ-
მოაჩნდა 19,633 მანეთი.

გაუცრუდა იმედი
დღეს გამსახლში მჯდომარეს
მიკიტუმოვს, წარსულში
არტელის თავმჯდომარეს.

„უღალატა“ ბაღილმა
ვინც საწყობს ქაფავდა

მის ქაფის დროს, აღმოჩნდა
თვალს ბუხიც არ ნაზავდა.

ნიკიტუმოვი


ნაჭებ ბაღილს აჯობა-
ბუღალტერმა სუმბატმა
და პაღლოვის დასტები
წინ დაიწყო გუმბათად.

ბავს რომ იცავს სანდრო ხეივანს ქაშაშს ამ დროს

ახალდაბის სატყეო მცველი
სანდრო ლომიძე ხე-ტყეს იმა-
რავს (გაზ „მუშა“).

სჩანს, რომ მცველად დგებოდი,
მოიგონე კრაობა,
მაგრამ მაინც შევიტყვეს,
სანდროვ, „ხელგამკრაობა“.

ფრთხილად იყავ, სანდროვ,
არ გაგივა მელობა,
გამსახლისკენ წაგიყვანს
შენი „სუფთა ხელობა“.



ბუნებაში არაფერი გავს ერთი მეორეს.
ხე განსხვავდება ხისაგან, კაცი კაცისაგან,
მთა მთისაგან, აბსოლუტურად მომსგავსებულ-
ლი არაფერია. მცირედი რაღაც განსხვავება
მაინც მოინახება.

ამ საერთო წესსა და მოვლენაში მხო-
ლოდ ერთი რაღაც წარმოადგენდა გამონაკ-
ლის: ეს გახლავთ პატარა სადგურები.

ვინ ჩამოთვლის რამდენი პატარა რკი-
ნისგზის სადგურია საქართველოში. ტფილი-
სიდან ბათუმამდე, ნავთლოლიდან თელავამ-
დე, სამტრედიიდან ფოთამდე, ქუთაისიდან
ტყაბულამდე, შორაპნიდან საჩხერემდე. ძა-
ლიან ხშირად დაინახავთ ამ პატარა სად-
გურს თითქო ერთ ოსტატს უშენებია, თით-
ქო ერთი ყალიბიდან ჩამოუსხავს და შემ-
დეგ სხვადასხვა ადგილას ჩამოურიგებია,
შეგულესავს კირით, გარშემო ალვის ხეები
დაუზრავს და ბაქანზე დაუდგამს წყლის კათ-
ხა; რომლის სიტალიერის შეუღრეკლად სლა-
რაჯობს და იცავს უზარმაზარი ბოჭლოში.
არაგინ იცის რა მიზნით ჰკიდია ეს ბოჭლო-
ში: იმიტომ, რომ წყალი არ ჩასხან კათხა-
ში, თოქ იმისათვის, რომ რომელიმე მოწყუ-
რებულმა მგზავრმა სიბრაზისაგან შიგ არ-
ჩააფურთხოს.

ბევრი რამეთი გვანან ერთმანეთს ჩვენე-
ბური პატარა სადგურები. სანიმუშოთ მე

ერთს ავიღებ, ერთს ავწერ და ამის შემდეგ
სანაძლოს დავდებ: ყველას, ვისაც აქ დაუც-
ლია მატარებლისთვის, ეგონება რომ სწო-
რედ მისი მგზავრობის დღეს უხილავად მის
გვერდით ვიყავ და მასთან ერთად განვიცა-
დებ ყველაფერი.

დავიწყით ამბავი? დავიწყით! მოყვარეს
პირში ვუტრახოთ!

როგორც იქნა მივალწიე სადგურს.

— ხომ არ დამავიანდა? — უნებური
შიში მიპყრობს.

ბაქანზე ხალხს ვხედავ. კალათები, ხურ-
ჯინები, ჩემოდნები დაუყრიათ მიწაზე და
თითონაც იქვე ჩაუტუქულან.

სადგურის გარეკედელზე დაკიდებულ
საათს ვუტყერი. საათი რაღაც არაჩვეულებ-
რივ დროს მიჩვენებს. დღეამიწის რომელიმე
კუთხეში იქნებ ახლა სწორედ ეს დრო იქ-
ნეს, მაგრამ ვეჭვობ, რომ ჩვენს კავშირში
სადმი რაიმე იქნეს მიახლოვებული მაინც.
უცბად მახვლებით რომ გაჩერებულია.

დღეი შრომით მოქანცულსა

გნატრება მოხვენება! — აღბათ ამის
შემზებდარემ თქვა ჩვენმა დიდმა აკაკიმ.

ვუტყერი და ვეკითხები: რატომაა ხალხი
გარედ? გარედ ქარია, ცივა და წვიმასაც
აპირებს. ვინ არ აჯობებდა სადგურის დარ-
ბაში შესულიყვენ და იქ დაეცადათ?

— საკვირველი ხალხია! — ვფიქრობ მე
და შევდივარ დარბაზში, შევედი და მიხვ-
დი მიხვს.

„დარბაზი“ განიერ ოთახს წარმოადგენ-
და. ერთ კუთხეში, სადაც სალოოს სარკმე-
ლია, ისე შევგუფებულა ქალი და კაცი,
რომ სატეობა არაა. მოუბთხნიათ ქვის იატა-
კზე, აკვირან კედელზე, ბავშვები მხრებზე
შემოუყვანიათ.

ამ მგზავრებს დარბაზის მხოლოდ მეოთ-
ხედი უტყრავთ. დანარჩენ სამ მეოთხედს
მოაჯირი აქვს შემოვლებული, ღვას იქ სკა-
მები, მაგიდები და არაგინ არ ზის.

— რატომ არ გაშლიდებდა ეს ხალხი?
რატომ არ შემოვლენ გარედ მყოფნიც? —
იკითხავთ თქვენ.

სიცოცხლე მოგეცათ, კი შემოვიდოდნენ,
მაგრამ როგორ, როცა თურმე ოთახის იმ
ცალიერ სამ მეოთხედზე ბუფეტის ტერიტო-
რია ყოფილა და არავის გააჩერებენ თუ პატ-
რონს „ხეირი არ მისცა“.

დავიღალე ფეხზე დგომით და სიარუ-
ლით. ვიფიქრე: რაც მომივა, მომივიდეს...
მივალ, დავჯდები ერთერთ სკამზე, რომე-
ლიც „აკრძალულ ზონაში“ მდებარეობს და
მოვისვენებ ცოტას მაინც...

გავხუცე და დავჯექ. იმავე წუთში, ბუ-
ფეტში მომუშავე, რომელიც აქამდე მშვი-

— ამხანაგებო, — ამბობდა მომხსენებელი. — ამდენი ხანია ველოდებით და ხანძარი არ გაჩენილა. ცხენები მოუფლელელები და უჭმელობისაგან გვებოცება. ამიტომ ჩემი წინადადება იქნება, რომ ცხენები გავრეკოთ ანჯერის ტყეში, რომელიც აქედან მხოლოდ 16 კილომეტრით არის დაშორებული.

— ხანძარი რომ გაჩნდეს, ცხენები სად გვეყოლება? — შეეკითხონ ამაველი მეხანძრები თავის უფროსს.

— სულერთია, ამხანაგებო, ახლანდელ მდგომარეობაში ისინი მაინც არ გამოდგებიან წყლის მოსატანად.

ცხენები გარეკეს ანჯერის ტყეში. და მოხდა ამბავი: კლუბის პარკიმბეურმა დაუდევრობით ცეცხლი გაუჩინა შენობას.

დადაცურდა მეხანძრეთა რაზმი. მოიკითხეს ცხენები.

აფრინეს კაცი ანჯერის ტყისაკენ, ცეცხლი ძლიერდება.

ეცნ მებეტლე რურუას და ცხენებს ჩა მოართვეს. შეუბნეს წყლის მოსატან „ტაჭკაში“ და გააქანეს მდინარისაკენ.

გააქანეს მაგრამ „ტაჭკას“ ბორბლები გაუტყდა და გადუბრუნდა. დაფეთდენ ცხენები და გაქენდენ.

მოვიდა კაცი ანჯერის ტყიდან და მოიტანა ამბავი:



— სტყუიან, ჩემზე რომ ამბობენ — ცარიელი თავი აქვსო. აი თურმე რამდენს იწონის ჩემი თავი!

— ჩვენი ცხენები მოლონიერებულან და ახლოსაც არ გამოიკარეს გაიქცენ, ვერ დავიჭირე.

— ეცი, კაცმა, ახლა ასეთ ცხენებს ჰატივი. როცა მოშიებული გვყავდა, ურჩობას

ვერ გვიბედავდენ, ახლა კი...
ხანძარი აღვილობრივმა მცხოვრებლებმა დიდი ვაივაგლახით ჩააჭრეს ვედროებით მოტანილი წყლით

დად ყვინთავდა დახლზე, თავზე დამადგა.

— რას მიირთმევ? — შეეკითხება არც თუ მაინცადამაინც ზრდილობიანად.

— მატყობს ალბათ, რომ დახარჯვას არ ვაპირებ! — ვფიქრობ გუნებაში და რომ აღვგომა და სკამის დაცლა არ შემომთავაზოს, გადავწყვიტე ცოტა რაიმე დავხარჯო, თუმცა არც მშობა და არც მწყურია.

— ლიმონათი მომეცითა! — ვეუბნები.

— არ გვაქვს! — პასუხს მაძლევს უკმაყოფილოდ.

— აბა ბორჯომი!

— არც ვგაა..

— ჩაი.

ამის გაგონებაზე ცალი თვალით ვადმოხედა.

— კაცო, შენ ერთი არაყის არ იყოს — რაფა იმას კითხულობ, რაც არა გვაქვს! — შემომიღრინა მან.

— აბა რა გაქვთ?

— რა და, რაც საჭიროა..

— მაინც?

— ჰე, რასაც ხედავ ეგერი!... — ხელს მიშვერს ბუფეტისაკენ. დახლზე ვხედავ კონიას, ღვინოს, არაყს, ბოთლებს და ბოზების ნაჯდომისგან გაშავებულ ხელოვნური ყვავილების თაიგულს.

— მეტი არაფერია?

— რაფა, წუნობ ამას თუ? შენ, ბიძა, არაფერი გდომია და ტყვილა ნუ აკლენ ადგილს! — ამიჩნია ხელი და ისი შემომხედა რომ აღვგომა და ვაცლა ვამჯობინე.

თქვით ახლა თქვენ თითონ: ერთი საათით სკამზე დაჯდომისთვის ბოთლი კონიაკი და ღვინო უნდა დამეღობა წაინკლამაინც უნდა დავმთვრალიყავი და გონება დამეკარება?

როგორც იქნა მატარებლის მოსვლის დრო დადგა. ზარი დაირეკა თუ არა, მიაწყდა ხალხი სალაროს. ისინი, ვინც აქამდე ვადამეტებული ზრდილობივ და თავაზით ელაპარაკებოდენ ერთმანეთს, ვინც ერთმანეთს „ბატონობით“ და „განაცულობით“ მიმართავდენ, უეცრად ერთი მეორეს საშინელი მტრები შეიქნენ. აღარ ზოგავდენ, აღარ ინდობდენ ერთმანეთს. აკვივდენ ქალები. ბავშვები, ვისაც ღონიერი მკლავი და მუხლი ჰქონდა, ვაიკაფა მან გზა სალაროსკენ.

— არა უშავს რა! — ვიფიქრე გუნებაში — ჯერ ამ ფალოგინებმა აიღონ... გვირდები რატომ ჩავამტკრევირ... მატარებელი კიდევ გზაშია, სანამ მოვიდოდეს. მოვასწრებ! დარბაზის კარებიდან მაქანზე ვხედავ

გულგატანული ნახ. მარიაშის



მეუბნებიან, ახ წელიწადს კიდევ იცოცხლებო. სახ. კინორეჟისგან დაპირებულ „არხენას“ დადგმას მაინც ვერ მოვხვდებით...

შალმობურულ ქალს. დგას უღარდელად და სადღურის მორიგეს ტკბილა ენუსაიფება:

— ნათლიდებამ ისეთი მაჭარი მომიტანა. უკეთესს ვერაფერს დაღვივ... მოდით სადამოს ჩემთან! — უფრო მოგჯარი ქალის სიტყვებს.

დანარჩენი ველარ გავიგონე, რადგან სალაროს სარკმელს ვილატამ მუშტები დაუშინა და ხალხიც აღრიალდა:

— გააღეთ სალარო! სადაა მოლარე! ვერ მოვასწრებთ!

ამ ხმაურზე უეცრად შეტრიალდა შალმობურული ქალი და კუშტად გამოიხედა.

— ვაი თქვენ და არ ვადარჩენა! კაცთან დალაპარაკებას არ ვაცლიან.

მატარებელმა სადღურს შემოაყვირა, როცა სალაროს სარკმელი გაიღო.

— ვრჩები აშკარად! — გულზე ცეცხლი მეკიდება ამის ვადიქრებაზე. ვავიმეტე თავი, ვადავჯეგე ქალები, ბავშვები, მოხუცები და ვეცი სალაროს.

— ბილეთი! — ვიყვირე რაც ხმა მქონდა და ფული ვავუწოდე. ვხედავ, მოლარე სწორედ ის შალმობურული მანდილოსანი აოთილა, რომელიც ტკბილ მაჭარზე იცხებობდა.

— მანეთი ხურდა არაა! — ვადმომიგლო ბილეთი ისე მწყრალად, თითქო მი ვიყავი იმაში დამნაშავე, რომ ხურდა მას შერჩა.

მოსაწრეს დანარჩენებმა ბილეთის აღება, თუ ვერა — არ ვიცი, ის კი ვიცი მხოლოდ, რომ იმ ფაცა-ფუცში ყურძნიანი კალათი დამჩრა სადღურზე. ღმერთმა შეარგოს, ვინც იბოვავ... მხოლოდ იმ მოლარეს არ მინდა ერგოს, თორემ ახლა ამანე ვაბამს მოსარფს და ვაუმგზავრებელს დასტოვებს ხალხს.

დონ. ბაზილიო

ნიანგორის წკიპურტები

ჭიათურის მაღაროს სასადილოში.

შალაროელი ელაპარაკება სასადილოს ერთ მსახურს:

— რასა ჰგავს ეს? მუშებს დასაჯდომი ადგილი არა გვაქვს და გარეშენი არხენად სხედან. ანდა ეს კერძი რასა ჰგავს? სად არის ჭამვე, რომ ვლთხრა ამის შესახებ?

— გამგემ უკვე ისაღილა.

— მე ეს არ მაინტერესებს, მან ისაღილა თუ არა.

— მე ამას იმიტომ გეუბნები, რომ იგი მხოლოდ სადილობისათვის შემოდის და სხვა დროს იგი აქ არ არის. ხვალ მოდი სადილობის დროს და აღბათ ნახავ.

შორს სკოლიდან.

— მასწავლებლო, ნუ გვცემ, თორემ, ხომ იცი ცემა არ შეიძლება! — დაეპუქრა სოფ. გ. წმინდის სკოლის მასწავლებელს, გიორგი კვეციანი თვისი მოწაფე.

— ვინ ვითხრა, რომ არ შეიძლება? სხვა მასწავლებლებს არა აქვთ უფლება, თორემ მე თქვენი ცემის უფლება კი არა, მამაჩემსაც ვსცემ. დღე ისე არ გავა, რომ არ ვსცემო. განსაკუთრებით მაშინ მიყვარს მისი ცემა, როცა თვრალი ვარ.

— და თქვენ კი ხშირად ხართ მთვრალი! — წამოიძახა კუთხეში ერთმა მოწაფემ.

— მართალია, აბა იანგარიშეთ და გამოიყვანეთ შემდეგი ამოცანა:

მე მათვრობს სამი ლიტრი ღვინო. ლიტრი ღვინოს 5 მანეთი; თითოეულ დათობაზე მამას ვცემ 7 მუშტს და 3 პანდურს. რამდენი მუშტი და პანდური მოუწევს თვიურად მამა ჩემს ჩემგან? ამ ამოცანის გამოყვანა სკოლაში ძნელია. აიტომ სახლში გამოიყვანეთ და ხვალ მოიტანეთ.

— განა ასეთ მასწავლებელს აწყენს ერთი მაგარი პანდური, რომელიც სკოლიდან გამოაგდებს მას?


— არ აწყენს, მაგრამ განათლების განყოფილება უურადღებდასაც არ აქცევს:—ერთ-მანეთში ლაპარაკობენ მოწაფეები.

დაავიწყდათ თუ...

ჩემი თანდასწრებით კომისიამ დაათვალიერა გურჯაანის „რაიონის“ მღაზია და აღმოჩნდა, რომ საწყობში შეენახათ, დავიწყებულათ და გაფუჭებულიყო; ჯონჯოლი 157 კილო. პამიდორი — 254, თევზი — 393.

„მიწევი“
ზოგიერთი რკინის გზელები
ცდილობენ სახელი გაუტეხონ
სტახანოვერ მოძრაობას.

ნახ მარიაშის



— გუშინ ქვიფში ვიჩხუბე და თავი გამიტეხეს ეს საქმე ხომ არ მოხდებოდა სტახანოვერის მოძრაობა რომ არ ყოფილიყო?!

სულ 1800 მანეთის საქონელი. ოქმიც ასეთი შეადგინა კომისიამ.

— ეჰ, რა ვიცი, ნიანგო, დაავიწყდათ თუ გადამაღული ჰქონდათ და დროზე ვერ გაასაღდეს!

ღორები ბაღში.

— აი, მგალითად, ეს არის ბაღი, რომელიც გააშენა საბჭომ, — მეუბნება ფოთის ქალაქის საბჭოს ერთი მუშაკი.

— რატომ არ შემოღობეთ, რომ ღორები შემოსევიან?

— საქმე იმაშია, რომ შემოღობილში ღორებს გაუჭირდებათ შემოსვლა. წინად მეუბნებოდა დროს ბაღს კარებზე გამოკრული იყო შემდეგი განცხადება: „აკრძალულია ბაღში ძაღლით ჩასვლა და ჯარისკაცების გავლა“. ჩვენ კი ღორებსაც მივეცი ბაღში სეირნობის უფლება.

— რომ ანადგურებენ?

— ღორები არ ჰმენ დეკორატიულ მცენარეებს. ისე კი აფუჭებენ, მაგრამ... არა უშავს!

სეზარი

კ ა ტ ა კ ი
ნიანგორის

თქვენი ბრძანებები 1930 წლის 12 თებერვალს მდ მე გამოვარკვე ნატანების (მანარაძის (რაიონი) სამომხმარებლო კოოპერატივის მუშაობა უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში და აღმოჩნდა შემდეგი:

1930 წელს ნატანების კოოპერატივში მოხდა ეგრედწოდებული გაფლანგვა და ამ სთან დაკავშირებით ახალი ხელმძღვანელების არჩევა გ. ვაწყაძის თავმჯდომარეობით.

ახალმა თავმჯდომარემ ახალი შტატი შექმნა, ხოლო ამ შექმნილმა შტატმა—გაი-მასქნება-გაქაფვის ბლოკი, რომელმაც წმინდა მოგება აღმოაჩინა სწორი იმდენი რამდენიც იზარალა კოოპერატივმა.

ვინაიდან გაფლანგვებმა სურვილი არ გამოაცხადეს სასჯელის მოხდაზე, რაიონის პროკურატურამაც მოსპო საქმე, ხოლო პ. ზოიძე და კ. ნადირაძე კი სასჯელის მოხდას მიზნით მეორე განყოფილებაში გადაიყვანეს.

გასული წლის ბალანსში ჩვენ ვხედავთ გაფლანგვის ცხრილში 25.000 მანეთს, რაც შეადგენს გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. გაფლანგვაში და საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვაში პირველობა მიიღო ვალბაბილოძემ, რომელმაც მანდარინის პლანტატორებზე დასარგებელი თანხიდან მხოლოდ 9.500 მანეთი გაქაფა და ამით რეკორდი დაამყარა მთელ რაიონში. მეორე ადგილი დაიკავებს კამ. დარჩიამ და ლად. ზოიძემ. ხოლო მესამე ადგილი დაიკავა ნათ. სალუქვაძემ, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩვენების გადასწორებაში.

არც თავმჯდომარის მოღვაწეობაა დასაწყონი, თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ აღესაში მოგზაურობის დროს მხოლოდ 900 მანეთი „დაკარგა“, რომლითაც ოჯახის საჭიროებისათვის შეიძინა ნიკელის ორი კრაოტი.

ბოლოს არ შეიძლება მხედველობიდან გამოუშვათ ყოფილი მიკიტის ლად. ბენდელიანის თავდადებული ბრძოლა გაფლანგვა-მითვისების საქმეში. იგი ძველი კვალიფიციური სპეციალისტია. ჯერ კიდევ 1910 წლიდან მუშაობდა მიკიტნად. გამორკვეილიდან მუშაობდა მიკიტნად. გამორკვევამ აღმოაჩინა, რომ რევოლუციამდე, როცა იგი კერძოდ მუშაობდა, არ ჰქონია გაფლანგვა-ანიტომ დატოვებული იქნა თავის თანამო-ბობაზე და ეთხოვა მას — თუ მოესურვება და მოახერხებს, დროთა განმავლობაში დაფაროს გაფლანგული თანხა.

ამჟამად ცენტრ. მღაზიაში მოწვეულია ცნობილი მეღოლონტი, რომელმაც ჯერ კიდევ 1933 წელს შრომის ჩაის ფაბრიკის სასადილოს გამგედ ყოფნის დროს მითვისა 1200 მანეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ თაიგულიდან მრლარე ვ. ბაბილოძეს მიუსაჯეს 2 წელიწადი, მაგრამ ღმერთის დახმარებით და ქრისტეს შემწეობით ბებიებმა და ბაბუებმა განათავისუფლეს სასჯელისაგან, ვინაიდან მხედველობაში იქნა მიღებული სხვა გამფლანგვების დაუსჯელობა და ზოგი მათგანის დაწინაურებაც კი.

პ. სომეჩიანი

ნიანბი ფეა ლტუბოში



ნიანბი თქვა—ტფილის ვზიგა,
 ვერ მივდივარ წყალტუბოში.
 ამბობენო—სნეულს კურნავს
 და აცოცხლებს მკვდარს კუბოში.

წავალ, ზორბად ვიბანავებ,
 ვით საკუთარ სამშობლოში;
 თბილ წყალზე ვარ დაჩვეული,
 შიგ დაბანის მაქვს მე ხოში.


მოვისმინეთ ჩვენ ბრძანება
 ამხანაგი ნიანბისა:
 — გაიფეშავართო წყალტუბოში,
 სადა მკვდარს წყალი ცოცხლად ხდისა.

საკბოლოსაც ბლომად ვნახავთ
 დავესმებით უცბაო თავსა,
 და ორგული ვინც შეგვხვდება,
 მით ვაგაძრობთ ზურგზე ტყავსა.

ზოგმა თუქც მის დანახვაზე
 სიხარულით დაჰკრა ტაში.
 მაგრამ ზოგს კი ერთანტელმა
 დაუთარა შიშით ტანში.

დაინახა რა აუზი,
 გადაეშვა შიგ ვანაში.
 ჩაწვა შიგ და თავი იგრძნო
 მან მშობლიურ ქვეყანაში.


ნახ. გ. ლომიძის



იცურაია, იბანავა
 ზედ ამოსულა დაეზარა;
 მაგრამ ისიც კორხლიანი
 ტანი კორხლით დაეფარა.

მოახსენეს მოკრძალებით:
 გეყოფათო, აწი კმარა,
 თორემ ჯდომა შიგ ზედმეტი
 სხეებს მრავალჯერ ჩაეშვარა.

ნახ. გ. ლომიძის



დავღამილი და სნეული
 ვანიტურა იქ სუფველა.
 მუწეფარივით ვარბის აბლა,
 ვინც მოსულა ღლივსადა, ნელა.

აქ მოსილა ვაიარჯენით,
 ვერ უნახავს სხვაგან შველა;
 აბლა ცეცვირს ლეგურს იგი,
 არ აწუხებს აღარც ხველა.

ნახ



კრიკოსანი

ქართული
საბჭოთა

„შეურაცყოფილი“

ერთ მოქალაქეს ქუჩაზე გამვლელმა ქალმა დაუშინა და თან სხაპასუხობით მიაყარა:

— როდის შეწყვიტავ ჩემს ღალატს შე უსირცხვილო უსინდისო, შე გაიძვერავ, როგორ მჭრი თავს პატიოსან მანდილოსანს. მე შენი გულისთვის გვირგვინ ნაკურთხ ქმარს ვუღალატე. ბესოს ვუღალატე, აფრასიონს ვუღალატე, ივან პეტროვიჩს ვუღალატე, გაბრიელს ვუღალატე, სამსონ ისაკიჩს ვუღალატე, სერგოს ვუღალატე, ზაკოს ვუღალატე, იპოლიტეს ვუღალატე, ბოდოს ვუღალატე, მელიტონს ვუღალატე, კუზმა კუზიჩს ვუღალატე... ყველას ვუღალატე რავე მარცხენ მანდილოს პატიოსან ქალს, ნამუსიან დედაკაცს, შეუბღალავს.. არ შეგარჩენ მაგას არ შეგარჩენ არ შეგარჩენ.

და ამ ლაპარაკში შეურაცყოფილმა ქალმა „შეურაცყოფელს ქოლგის ტარი თავის ქალაზე მიატეხა.

გამოსავალი

— მასეხე ოცი მანეთი — მიმართა ამხანაგს ამხანაგმა, რომელიც ვალს ჩვეულებრივ ირჩენდა „დავიწყებ“ გამო.

— შენ, პირადად?

— გაითვალისწინე, რომ მე ახლა ის ალარა ვარ, რაც ვიყავი, მე ახლა სხვა ვარ.


— შენ რომ ყოფილიყავი საქმეა და რაკი სხვა ხარ, სხვას მე ფულს არასოდეს არ ვასესხებო —

„გულადი“

ტფილისში ერთი მეეტლე მიქუა სცხოვრობდა. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მეფის რეაქციის მიერ მიღებულმა რეპრესიებმა ისე შეაშინა, რომ რევოლუციურ მოძრაობაში შემხნეულთ, ან საექვო ხალხს ახლოს არ იკარებდა.

ხლაფორთი ხალხია, ჩამიჯდება ბუნტოვჩიკი, დამამენენ ჯაშუშები და ციმბირს აქეთ დამატოვებებენო — ფიქრობდა ის.

ერთხელ ამ გიქუას, ვიღაც ფრაკში გამოწყობილი უცხო მამაკაცი მიუახლოვდა ჩემოდნით ხელში და შეეკითხა:



— თავისუფალი ხარ?

— ამ სიტყვის გაგონებაზე მშიშარა გიქურას თმა ყალყზე აუღდა და უცნობს შესძახა;

— წადი, წადი გაიარე ბუნტოვჩიკო, თორემ ახლავე პოლიციას დაუუძახებ.

პასუხი

— კვერცი რომელის არისო — ჩააცვივალ ვასწავლებელი ერთ ერთ მოწაფეს რუსული ენის გაკვეთილზე;

— რა ვიცი, რომლის იქნება: ჯერ დავაჯენ წიწილს გამოვჩეკინებ, დავაკვირდები და მერე გეტყვიო. — უპასუხა დინჯად მოწაფემ.

„გამოტყდა“

ერთ მოქალაქეს ქურდობისათვის, ასამართლებდნენ. მეზობელი პალტოს მოპარვა უჩიოდა, მეფის სასამართლომ, რომელიც საქმის ბიუროკრატიულ ფორმლისტურათ დასაბუთებას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა ვიდრე ბრალდებაში გათვალისწინებულ საქმის სინამდვილეს, ვერ მოუწახა ქურდს ბოროტმოქმედების დამადასტურებელი ფორმალური საფუძვლები და მცირე თათბირის შემდეგ განაცხადა:

— ვინაიდან ბაცაშვილს საქირო მამხილ ბელ საბუთების უქონლობით არ დაუმტკიც და ცაცაშვილის პალტოს მოპარვა, სასამართლო აღგენს;

„გამართლოს ბრალდებული კოტე ბაცაშვილი.

— ბაცაშვილო თავისუფალი ხარ შეგილია წახვიდე მიმართა ბრალდებულს მდივანმა.

— არ წავალ სანამ ცაცაშვილს არ გაასამართლებთ მე მან ცილი დამწამა.

— რა ცილი რას ამბობ?

— მან აქ საქვეყნოდ განაცხადა, თითქოს მისი პალტოები 15 მანეთი ღირდა. რა თხუთმეტი, რის თხუთმეტი, სამ მანეთით ძლივს-ძლივობით გავყიდე.

ანუგორგური ამბავი იმის შესახებ თუ რატომ არ იზოვება სამტრედიის საღვურზე სამგზავრო ბილეთი

სამტრედიის ახლოს ერთ სოფელში ცხოვრობდა გლეხი კირილე ჯღანელი. ერთხელ კირილემ ტფილისს წასვლა განიზრახა. განზრახვა კიდევ შეასრულა. დილით მომივებულ კირილე შევიდა ტფილისის ერთ-ერთ სასაბჭოში, მოითხოვა საუბრე მწვანელით. ვინაიდან ცოტა მწვანელი მიუტანეს, — (მწვანელი კი ძალიან უყვარდა კირილეს) ფულის გადახდის დროს დახლზე დაწყობილ მწვანელს დაუწყო ჩამა სასაბჭოლოს გამგის დაუკითხავად. იქვე მდგომმა მოქალაქემ შენიშნა ეს და გამგეს ჩუბრულოთ უთხრა: „გადინე, ვირმა მწვანელი შექამაო“ კირილემ ეს გაიგონა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცია. ერთი დღის შემდეგ

დაბრუნდა იგი სოფელში. წემიანი დღე იყო. კირილე კერის პირას იჯდა. რალაც დაფიქრებულოყო. ამ დროს მისდა შეუმჩნეველად შემოვიდა ცოლი. დაჯდა კირილეს ახლოს და დაუწყო ყურება. კირილეს ჩაფიქრებამ ცოლიც ჩაფიქრა. — „ვის, უთხრა მამაძალმა, ვირმა მწვანელი შექამაო?“ ცოლი წაომგარდა და შეიანქრია კირილე, რათა გაიოფებინებოდა.

— „ხომ არ გასულელდი კაცო?“ — მიმართა მან. — რაებს ბოდაი?! კირილემ მოუთხრო თუ რაშიც იყო საქმე.

— ასე თქვა პირდაპირ: „კაცო, გადინე ვირა მწვანელი შექამაო“. ახლა დაუფიქრდი და მივხედი, რომ იქ ვირი არავინ იყო,

მამასადამე ჩემზე უთქვამს. გამიშვით, უნდა მოვკლა ის სულძალი! დაიძახა კირილემ და გარეთ გამოვარდა. რამდენიმე წუთში სამტრედიის რკ. გზ. სადგურზე გაჩნდა ბილეთის სალაროსთან.

— მომეცით ტფილისის ბილეთი!

— არ არის — უთხრა მოლარემ.

კირილე იძულებული იყო უკან გაბრუნებულიყო. ტფილისელი მოქალაქე გადარჩა. ამ ამბოს შემდეგ ზოგიერთების გადმოცემით ამკაცჯ. რკ. გზ. მმართველობა არა თუ რაინე ზომების მიღებას არ აპირებს, კმაყოფილიც კი რჩება იმით, რომ სამტრედიის საღვურზე იშვიადად იშოვება რკ. გზ. სამგზავრო ბილეთი.

შუქურა



დღემდე ცნობილი იყო, რომ სინდისი ვისაც ის ჰქონდა, ადამიანში მულავდებოდა ცხადში, ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში. ამჟამად სულ სხვა გამოიკვია. სინდისი ზოგიერთ ადამიანში მხოლოდ ძილში იღვიძებს, რადგან დღისით მას (სინდისს) ეშინია თავისი პატრონის—ვაი თუ ჯოხით გამოემკიდოსო. აი რას გვწერს ამის შესახებ ერთი ექიმი, რომელიც, როგორც კონვენტუალური აღნიშნული საფოსტო ბეჭდიდან ჩანს, ყვარელის რაიონში უნდა მოღვაწეობდეს: ნახ. დონის



„სწორად ვაკეთებ ჩუმად აბორტს, რომელიც ძალიან ხშირად უბედურებით თავდება, მაგრამ ერთხელაც არ მიგრძნია სინდისის ქეჯნა, ხოლო ამ ბოლო დროს დამიწყო სინდისმა ქეჯნა დამით სიზმარში, ძილში. საშინელი კლამარი მიჩვენება: თავზე მადგებიან და გასამართლებას მიპირებენ აბორტის მსხიერბლნი. თავზარდაცემული წამოვარდები და გამოფხიზლების შემდეგ ისევ ვმშვიდდები, რადგან სინდისი უკვე აღარ მქეჯნის“.

სასურველია ამ ექიმის ვინაობის გაგება და კიდევ თუ სად არიან ასეთი ექიმები.

სტაფილოს (აქვე, ზოოვეტერინალური ინსტიტუტი). იწერებოდა რომელიღაც სტუდენტი ქალის შესახებ, რომელიც პრაქტიკულად დაბრუნდა:

პრაქტიკაზე გააგზავნეს ჩვენგან ერთი ქალიშვილი დაბრუნდა და რვა თვის შემდეგ შეეძინა ვაჟიშვილი.

„იმ ქალიშვილს ლიზა ჰქვია“ — უბრალოდ თქვენ მიერ რას ერჩით ლიზას. ვაჟის მიძინა თანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს. თქვენი წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ლიზა პრაქტიკულად უპრაქტიკოდ არ დაბრუნებულა.

კობიკოს (სოფ. ლაშე, ორჯონიკიძის სახ. (ხარაგ.) რაიონი) როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, ლაშე-ღვერვის სასოფლო საბჭო არ ზრუნავს ხილის გაკეთებაზე, რომელიც მდინარე ჩხერიმელაზეა, რკინის გზის ბაქანთან.

„ძველი ხილი წყალმა წაიღო. ახლა ცალცალი ღირებია „ხილზე“ გადებული. ისე საშიშია მაზე გავლა, განსაკუთრებით დამთ, რომ თუ „ხედი“ არ აქვს ადამიანი კი არა, მაზე ოჩხაშურის ჭინკა დაიმტარევა“—ო... — ამბობთ და მომართვის ლექსით თაყვანით.



შენ მოგმართავთ. ნიანგო, ქებითა და დიდებით დაგვაიწყადა ლაშოლებს რას ქვიდა ხიდები,

გაცნობით, რომ ნიანგს ჩიბა-დიდებით მიმართვა არ უნდა. თუ თქვენს ლექსში აღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად

პირაქეთ, ნიანგი მიმართავს თქვენს საბჭოს თავმჯდომარეს „ჩებითა და დიდებით“.

ქაშაყლანფხს: (აქვე) რატომ არ იწერები თქირძოდ ვის იხება თქვენი ლექსი:

„ჩვინი კოოპერაიაში ღვინო სვეს და ქაში ყლინწეს აიკრა მყავს მი სიაში შემეკითხეთ ქაშაყლინწეს“.

გარდა ამისა, თუ „კოოპერატორებმა“ (რომლის სიასაც ასე საიდუმლოდ ინახავთ), — „ქაშა ყლინწეს“, — თქვენ პირადად

რა მონაწილეობა მიგიძღვით მათ საქმეში, რომ ფსევდონიმად „ქალაყლინწე“ აგირჩევიათ?

თალიკოს (ქუთაისი). მივიღეთ თქვენი პოემა, ადაც აწერილია ვითომ თქვენს თავდასადავლი. „პოემას“ ასე იწყებთ:


ჩემი ქმარი პოეტია მიეთია მოეთია უკაია ხელში წყრია უბრაზუნებს გასაკვირად...

თქვენ კითხულობთ: შემძლია თუ არა ასეთი ლექსების წერაო, რასაკვირეულია, წერა შეგიძლიათ. ასეთის წერაც შეგიძლიათ:

„ჩემი ქმარი გლახუნია, მიყარს ლექსის ბრაზუნია მომამკარით ყიოთა ყური, შიგაქამე ნიახური“.

წირას ვინ გიშლით; მაგრამ თუ მისთვის „საბინაო თართობი“ ითხოვეთ, მაშინ ასეთი ლექსებისთვის ყილოაზე უფრო საპატიო ადგილი გოდორი იქნება.

მოგვიხიენ, ნიანბო, გსხოვრებთ ერთი წაერთა
 მოსვენება დღით არ გვაქვს და კილი კა ლაერთა



ეს სურათი ნამდვილი
 თუმცა არის საზარი,
 მაგრამ არვის ეგონოს,
 თითქოს არის ბაზარი.

ერთი ეზოს სახლია,
 და თქვენ იცით რომელი?
 რუსთაველის პროსპექტზე
 სახლის თორმეტ ნომერის.

ღამით ეზოს არ სძინავს
 და არც დღითი ისვენებს.
 გააქვთ მუღამ ხმაური
 ავტოს, ვირებს და ცხენებს.

თუმცა ასეთ ეოფაში
 სხვა სახლებიც არიან,
 მაგრამ დღეს ჩვენ ვუმღერეთ
 მხოლოდ ამ სახლის არია.

ნახ. დონის.